

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	18
6. ძირითადი საშუალებები	23
7. აქტივის გამოყენების უფლება.....	24
8. მარაგები.....	24
9. სავაჭრო მოთხოვნები.....	24
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
11. მიღებული სესხები	26
12. საიჯარო ვალდებულებები	27
13. საგადასახადო ვალდებულებები.....	27
14. სავაჭრო ვალდებულებები.....	27
15. სხვა ვალდებულებები.....	27
16. ამონაგები.....	28
17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	28
18. გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	28
19. მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა.....	29
20. პირობითი ვალდებულებები	29
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	31

მმართველობის ანგარიშგება.....	32
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი „ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის 18 მარტს.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს

საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა,

მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტულიგარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდაკონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 თებერვალი 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 თებერვალი 2025

თბილისი, საქართველო



**„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,821,469	2,613,624
არამატერიალური აქტივები		37,186	43,608
აქტივების გამოყენების უფლება	7	393,516	233,550
		3,252,171	2,890,782
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	4,185,280	5,355,895
სავაჭრო მოთხოვნები	9	2,153,277	2,122,575
სხვა აქტივები		57,864	20,800
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,887,008	2,227,300
		9,283,429	9,726,570
სულ აქტივები		12,535,600	12,617,352
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	699,848
საიჯარო ვალდებულებები	12	244,096	164,600
		244,096	864,448
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	3,072,983	3,199,531
საიჯარო ვალდებულებები	12	184,542	108,496
საგადასახადო ვალდებულებები	13	293,890	172,768
სავაჭრო ვალდებულებები	14	4,450,796	5,019,708
სხვა ვალდებულებები	15	248,446	156,239
		8,250,657	8,656,742
სულ ვალდებულებები		8,494,753	9,521,190
წმინდა აქტივები		4,040,847	3,096,162
წმინდა აქტივები			
გაუნაწილებელი მოგება - გასანაწილებელი სათაო საწარმოზე		4,040,847	3,096,162

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ზაფერ აქსაქალი
ფინანსური მენეჯერი	_____	ოლგა შარვაძე

**„ზორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,821,469	2,613,624
არამატერიალური აქტივები		37,186	43,608
აქტივების გამოყენების უფლება	7	393,516	233,550
		3,252,171	2,890,782
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	4,185,280	5,355,895
სავაჭრო მოთხოვნები	9	2,153,277	2,122,575
სხვა აქტივები		57,864	20,800
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,887,008	2,227,300
		9,283,429	9,726,570
სულ აქტივები		12,535,600	12,617,352
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	699,848
საიჯარო ვალდებულებები	12	244,096	164,600
		244,096	864,448
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	3,072,983	3,199,531
საიჯარო ვალდებულებები	12	184,542	108,496
საგადასახადო ვალდებულებები	13	293,890	172,768
სავაჭრო ვალდებულებები	14	4,450,796	5,019,708
სხვა ვალდებულებები	15	248,446	156,239
		8,250,657	8,656,742
სულ ვალდებულებები		8,494,753	9,521,190
წმინდა აქტივები		4,040,847	3,096,162
წმინდა აქტივები			
გაუნაწილებელი მოგება - გასანაწილებელი სათაო საწარმოზე		4,040,847	3,096,162

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ზაფერ აქსაქალი

ფინანსური მენეჯერი



ოლგა შარვაძე

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	16	20,523,584	19,826,773
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	17	(17,406,707)	(16,948,736)
საერთო მოგება		3,116,877	2,878,037
სხვა შემოსავალი		53,324	16,201
გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,074,521)	(1,997,469)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		(45,452)	(30,259)
საოპერაციო მოგება		1,050,228	866,510
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(252,675)	(235,307)
მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	19	147,132	(89,999)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		944,685	541,204

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“
წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	გაუნაწილებელი მოგება - გასანაწილებელი სათაო საწარმოზე	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,554,958	2,554,958
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	541,204	541,204
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	3,096,162	3,096,162
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	944,685	944,685
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	4,040,847	4,040,847

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	944,685	541,204
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	323,279	645,919
მარაგების გაუფასურება	41,115	14,796
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	45,452	30,259
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	2,768	-
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	252,675	235,307
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(147,132)	89,999
	1,462,842	1,557,484
შემცირება/(ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	1,129,500	312,566
სავაჭრო მოთხოვნები	(62,816)	(1,018,610)
სხვა აქტივები	(37,064)	124,868
შემცირება/(გაზრდა) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო ვალდებულებები	(295,201)	(1,148,293)
სხვა ვალდებულებები	91,159	(237,572)
საგადასახადო ვალდებულებები	136,161	(371,592)
	2,424,581	(781,149)
გადახდილი პროცენტი	(244,767)	(203,843)
მიღებული პროცენტი მიმდინარე ანგარიშებზე	31,478	15,217
გადახდილი საიჯარო ვალდებულების პროცენტი	(51,139)	(30,413)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	2,160,153	(1,000,188)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(331,862)	(40,860)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(4,611)
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(331,862)	(45,471)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	2,376,747	3,874,504
გადახდილი სესხები	(3,176,377)	(1,878,058)
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	(183,173)	(201,943)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(982,803)	1,794,503
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	845,488	748,844
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	2,227,300	1,481,079
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(185,780)	(2,623)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	2,887,008	2,227,300

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაფუძნდა 1997 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204907164.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, №118. კომპანია არის სს „ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“-ს (366846, თურქეთი) ფილიალი საქართველოში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამერიკული ბრენდის - „Caterpillar“-ის წარმოების საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვა, ასევე მათი შემდგომი მომსახურება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 2 მაღაზია თბილისსა და თერჯოლაში და სათაო ოფისი თბილისში (2023: 2 მაღაზია თბილისსა და თერჯოლაში და სათაო ოფისი თბილისში).

სს „ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“-ს (366846, თურქეთი) ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული და მას აქვს უფლება მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეცვალოს მისი გამოცემის შემდეგ.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აშშ დოლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშის მიმოხილვითაც იკვეთება ის ფაქტი, რომ კომპანიას არ გააჩნია უახლოესი მომავლის განმავლობაში ფუნქციონირებადობის რისკი:

- მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს
- კომპანია მოგებაზე გადის მინიმუმ 2 წელია უკვე
- კომპანიის ნეტო აქტივები (გაუნაწილებელი მოგება) დადებითია
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში ფულადი მოძრაობაც დადებითია.

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ამ რედაქციაში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ხუთი საბუღალტრო სტანდარტის ცვლილებას.

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოცემა შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ ინტერპრეტაციები
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1
მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებებს აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნებში ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — პილარ II მოდელის წესები

ბასს 12-ის შესწორებები დროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარალებიან. ცვლილებების გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც საგალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან. წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია სამუშაო და წარსადგენ ვალუტად იყენებს აშშ დოლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს აშშ დოლარს.

კომპანიის მიერ სამუშაო ვალუტის შერჩევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მსჯელობა: მის მიერ განხორციელებული შესყიდვები არსებითად (თითქმის სრულად) არის აშშ დოლარში. გაყიდვები მართალია ძირითადად ლარშია, მაგრამ საფასო პოლიტიკა დოლარშია და გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე დოლარის კურსის შესაბამისად იცვლება. აშშ დოლარში ასევე ხორციელდება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა საოპერაციო ხარჯების ნაწილის გაწევა, ვალდებულებების დაფარვა და სხვა. კომპანია არის „ბორუსან მაქინას“ ჯგუფის წევრი და ჯგუფის ყველა მონაწილის სამუშაო ვალუტა არის აშშ დოლარი, გარდა დედა კომპანიისა, რადგან მისი მოქმედების არეალი არის ევრო ზონა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება (ზარალი)“ ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	ლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	0.3564	1.0477
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	0.3718	0.9039

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საოპერაციო იჯარა

აღიარება და შეფასება

კომპანია საოპერაციო იჯარად აღიარებს გაქირავებულ ტექნიკას. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს წრფივი მეთოდით.

კომპანია ხარჯის სახით აღიარებს დანახარჯებს, მათ შორის ცვეთას, რომელიც გასწია საიჯარო შემოსავლის მისაღებად.

კომპანია საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას უმატებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც გასწია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესატანხმებლად და ამ დანახარჯებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებს ხარჯის სახით იმავე საფუძველით, რომელიც გამოიყენა საიჯარო შემოსავალთან მიმართებით.

იმ ცვეთადი საიჯარო აქტივების ცვეთის პოლიტიკა, რომლებიც საოპერაციო იჯარის საგანია, შეესაბამება კომპანიის სტანდარტული ცვეთის პოლიტიკას, რომელსაც ანალოგიური აქტივების მიმართ იყენებს. კომპანია ცვეთას ითვლის ბასს 16-ის შესაბამისად.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია ბასს 36 იყენებს იმის დასადგენად, გაუფასურებულია თუ არა საიჯარო აქტივი, რომელიც საოპერაციო იჯარის საგანია და ასევე, გამოვლენილი გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის.

კომპანია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ აღიარებს გაყიდვიდან მიღებულ მოგებას, ვინაიდან საოპერაციო იჯარა არ არის გაყიდვის ეკვივალენტური ოპერაცია.

იჯარის მოდიფიკაცია

კომპანია საოპერაციო იჯარის მოდიფიკაციას აღრიცხავს როგორც ახალ იჯარას მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღიდან, ხოლო თავდაპირველ იჯარასთან დაკავშირებული წინასწარ განხორციელებულ ან დარიცხულ საიჯარო გადახდებს მიიჩნევს ახალი იჯარის შესაბამისი საიჯარო გადახდების ნაწილად.

წარდგენა

კომპანია საიჯარო აქტივებს, რომლებიც საოპერაციო იჯარის საგანია, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს საიჯარო აქტივის ტიპის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	50
მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები	4-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-13
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების მიყიდვა, ასევე მათი შემდგომი მომსახურება.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან

ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილისა დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები შემდგომი მომსახურებიდან

ამონაგები შემდგომი მომსახურებიდან მოიცავს მაგ. სათადარიგო ნაწილების შეცვლას, ყოველთვიურ თუ ერთჯერად პროფილაქტიკურ მიმოხილვას, ტექნიკის ქირავნობა და სხვა. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის მაგ. ყოველთვიური მომსახურება, ტექნიკის ქირავნობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად, ხოლო ამონაგები ერთჯერადი მომსახურებიდან მაგ. სათადარიგო ნაწილის შეცვლა, აღიარდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ერთჯერადი მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება მთლიანად, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქტია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო

შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,887,008	2,227,300
სავაჭრო მოთხოვნები	9	2,153,277	2,122,575
		5,040,285	4,349,875
ფინანსური ვალდებულებები		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	11	3,072,983	3,899,379
სავაჭრო ვალდებულებები	13	4,450,796	5,019,708
სხვა ვალდებულებები	15	144,732	118,258
საიჯარო ვალდებულებები	12	428,638	273,096
		8,097,149	9,310,441

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

კომპანია წარადგენს ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები არის გაუფასურების რეზერვთან დანეტილი თანხები. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწესებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მოზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 - 2 წელი	> 5 წელი	სულ
მიღებული სესხები	11	3,072,983	-	-	3,072,983
სავაჭრო ვალდებულებები	13	4,450,796	-	-	4,450,796
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	144,732	-	-	144,732
საიჯარო ვალდებულებები	12	184,542	149,026	95,070	428,638
		7,853,053	149,026	95,070	8,097,149

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 - 2 წელი	> 5 წელი	სულ
მიღებული სესხები	11	3,199,531	699,848	-	3,899,379
სავაჭრო ვალდებულებები	13	5,019,708	-	-	5,019,708
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	118,258	-	-	118,258
საიჯარო ვალდებულებები	12	109,380	85,711	78,005	273,096
		8,446,877	785,559	78,005	9,310,441

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმოქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	9	1,789,134	364,143	-	2,153,277
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	2,430,616	451,679	4,713	2,887,008
		4,198,961	835,901	5,423	5,040,285
ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
მიღებული სესხები	11	2,711,342	361,641	-	3,072,983
სავაჭრო ვალდებულებები	14	670,469	26,060	3,754,267	4,450,796
სხვა ვალდებულებები	15	-	144,732	-	144,732
საიჯარო ვალდებულებები	12	142,562	286,076	-	428,638
		3,524,373	818,509	3,754,267	8,097,149
ღია საბალანსო პოზიცია		674,588	17,392	(3,748,844)	(3,056,864)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	9	1,795,646	316,677	10,252	2,122,575
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,551,451	672,906	2,944	2,227,300
		3,347,097	989,583	13,196	4,349,875
ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
მიღებული სესხები	11	3,518,413	380,966	-	3,899,379
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,897,906	28,962	3,092,840	5,019,708
სხვა ვალდებულებები	15	-	118,258	-	118,258
საიჯარო ვალდებულებები	12	104,445	168,651	-	273,096
		5,520,764	696,837	3,092,840	9,310,441
ღია საბალანსო პოზიცია		(2,173,667)	292,746	(3,079,644)	(4,960,566)

ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის აშშ დოლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად

მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე მნიშვნელოვანი სავალუტო ნაშთების გადაფასების ეფექტი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+20%	-20%	+20%	-20%
ლარის ეფექტი	3,478	(3,478)	58,549	(58,549)
ევროს ეფექტი	(749,769)	749,769	(615,929)	615,929

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს.

რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ორგანიზაცია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

			მანქანა- დანადგარები და სხვა	ავეჯი და ოფისის	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მოწყობილობები	აღჭურვილობა			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,673,623	2,318,656	531,880	103,893	32,920	5,711,582
შემოსვლა	-	-	-	40,860	-	-	40,860
გასვლა	-	-	-	(6,903)	-	-	(6,903)
მარაგებში გადატანა	-	-	(1,945,185)	-	-	-	(1,945,185)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,673,623	373,471	565,837	103,893	32,920	3,800,354
შემოსვლა	-	127,108	70,209	36,174	-	311	233,802
გასვლა	-	-	(25,020)	(25,773)	(71,448)	-	(122,241)
მარაგებიდან გადატანა	-	-	98,060	-	-	-	98,060
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,800,731	516,720	576,238	32,445	33,231	4,009,975
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(291,447)	(563,627)	(414,756)	(93,157)	(32,920)	(1,395,907)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(33,511)	(388,778)	(41,217)	(6,031)	-	(469,537)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	6,031	-	-	6,031
მარაგებში გადატანა	-	-	672,683	-	-	-	672,683
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(324,958)	(279,722)	(449,942)	(99,188)	(32,920)	(1,186,730)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(41,703)	(30,787)	(45,822)	(2,839)	(98)	(121,249)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	23,759	25,330	70,384	-	119,473
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(366,661)	(286,750)	(470,434)	(31,643)	(33,018)	(1,188,506)
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,348,665	93,749	115,895	4,705	-	2,613,624
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,434,070	229,970	105,804	802	213	2,821,469

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 355,112 დოლარს. (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 291,027 დოლარს)

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

7. აქტივის გამოყენების უფლება

<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>სატრანსპორტო საშუალება</i>	<i>სულ</i>
31 დეკემბერი 2022	184,110	518,371	702,481
მოდუფიკაციის ეფექტი	127,029	50,156	177,185
31 დეკემბერი 2023	311,139	568,527	879,666
მოდუფიკაციის ეფექტი	93,665	261,908	355,573
31 დეკემბერი 2024	404,804	830,435	1,235,239
 დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2022	(163,885)	(313,265)	(477,150)
ცვეთის ხარჯი	(44,779)	(124,187)	(168,966)
31 დეკემბერი 2023	(208,664)	(437,452)	(646,116)
ცვეთის ხარჯი	(60,957)	(134,650)	(195,607)
31 დეკემბერი 2024	(269,621)	(572,102)	(841,723)
 31 დეკემბერი 2023	102,475	131,075	233,550
31 დეკემბერი 2024	135,183	258,333	393,516

8. მარაგები

მარაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოძრავი ტექნიკა	2,375,937	3,061,512
მარაგ-ნაწილები	1,944,376	2,434,472
ელექტრონული სისტემები	98,810	50,946
სხვა	68,951	70,644
	4,488,074	5,617,574
მარაგების მოძველების რეზერვი	(302,794)	(261,679)
	4,185,280	5,355,895

მარაგები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

9. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,299,350	2,233,406
შიდაჯგუფური მოთხოვნები	190,426	184,411
გამოკლებული: სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(336,499)	(295,242)
სავაჭრო მოთხოვნები - წმინდა	2,153,277	2,122,575

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

9. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, ხელმძღვანელობამ, ასევე, გაითვალისწინა, კომპანიის მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალური მახასიათებელი, სხვა დამატებითი გარემოებები და რისკ ფაქტორები, რომელიც ასახავს ისეთ გავლენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთზე, რასაც არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორები.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<30 დღე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	> 360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1.00%	3.00%	11.00%	55.00%	80.00%	100.00%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	2,031,009	40,123	78,483	66,395	19,656	254,110	2,489,776
ანარიცხი							
მოსალოდნელ დანაკარგზე	20,310	1,204	8,633	36,517	15,725	254,110	336,499

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<30 დღე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-120 დღე	121- 180 დღე	181-360 დღე	> 360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1.00%	3.00%	11.00%	55.00%	80.00%	100.00%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	1,608,444	438,136	80,714	36,893	29,074	224,556	2,417,817
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	8,035	10,954	8,476	20,107	23,114	224,556	295,242

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2024	2023
1 იანვარი	295,242	375,062
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	62,554	108,086
წინა პერიოდებში გაუფასურებული მოთხოვნების აღდგენა	(21,297)	(77,827)
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-	(110,079)
31 დეკემბერი	336,499	295,242

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული რეზიდენტ ბანკებში აშშ დოლარში	2,435,328	1,551,451
ფული რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	451,680	380,349
ფული გზაში	-	295,500
	2,887,008	2,227,300

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებული იყო შემდეგ ბანკებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სს "თიბისი ბანკი"	733,257	664,164
სს "საქართველოს ბანკი"	1,647,354	710,609
სს "ზირაათ ბანკი"	23,261	820
სს "იმ ბანკი"	483,136	556,207
	2,887,008	1,931,800

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სს "იმ ბანკი"					
სესხი 1	აშშ დოლარი	11%	3/22/2024	-	1,501,191
სესხი 2	ლარი	15%	2/12/2024	-	380,966
სესხი 3	აშშ დოლარი	10%	5/30/2025	707,986	2,017,222
სესხი 4	ლარი	13%	2/10/2025	361,641	-
სესხი 5	აშშ დოლარი	9%	6/24/2025	2,003,356	-
				3,072,983	3,899,379
				31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ნაწილი				3,072,983	3,199,531
გრძელვადიანი ნაწილი				-	699,848
				3,072,983	3,899,379

მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებულ სესხებში ბრუნვა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2024	2023
1 იანვარი	3,899,379	1,880,837
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
ახალი სესხის მიღება	2,376,747	3,874,504
სესხის ძირის დაფარვა	(3,176,377)	(1,878,058)
სესხის პროცენტის დაფარვა	(244,767)	(203,843)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
წლის საპროცენტო ხარჯი	233,014	220,110
საკუროს სხვაობა	(15,013)	5,829
31 დეკემბერი	3,072,983	3,899,379

12. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთი წლის დასაწყისში	273,096	258,628
საპროცენტო ხარჯი	51,139	30,413
გადახდები წლის განმავლობაში	(234,312)	(195,732)
მოდიფიკაციის ეფექტი	355,573	177,185
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(16,858)	2,602
ნაშთი წლის ბოლოს	428,638	273,096

13. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 293,890 აშშ დოლარი და 172,768 აშშ დოლარი, შესაბამისად.

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	27,510	33,341
შიდა ჯგუფური ვალდებულებები	4,423,286	4,986,367
	4,450,796	5,019,708

სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ვალუტისა და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სახელშეკრულებო ვალდებულებები	103,714	37,981
საბონუსე ანარიცხი	144,732	118,258
	248,446	156,239

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

16. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია		
ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების გაყიდვიდან	13,138,996	12,614,243
ამონაგები სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან	5,015,229	4,575,545
ამონაგები ენერგეტიკული სისტემების გაყიდვიდან	858,755	1,046,985
მომსახურების გაწევა		
ამონაგები სარემონტო მომსახურებიდან	1,510,604	944,733
საიჯარო შემოსავლები	-	645,267
	20,523,584	19,826,773

ყველა სახის ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გარდა მომსახურების ნაწილისა, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში.

კომპანიის მიერ მიღებული ამონაგები ექსპორტიდან 2024 და 2023 წლების დეკემბრის მდგომარეობით არის 833,404 აშშ დოლარი და 763,701 აშშ დოლარი, შესაბამისად.

17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2024	2023
საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების თვითღირებულება	(12,028,974)	(11,621,990)
სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების თვითღირებულება	(4,591,527)	(3,986,394)
ენერგეტიკული სისტემების თვითღირებულება	(786,206)	(937,135)
სხვა	-	(403,217)
	(17,406,707)	(16,948,736)

გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავს ზედნაღებ ხარჯებს, რომელთაგან ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2024 და 2023 წლების საანგარიშგებო პერიოდებისთვის შეადგენს 113,920 აშშ დოლარსა და 462,803 აშშ დოლარს, შესაბამისად.

18. გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი*	(1,333,750)	(1,354,392)
ცვეთა და ამორტიზაცია	(209,359)	(183,116)
აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(133,212)	(106,331)
ოფისის ხარჯი	(121,036)	(96,576)
საგადასახადო ხარჯი	(101,274)	(80,661)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	(48,008)	(48,661)
მივლინების ხარჯი	(17,403)	(38,238)
საწვავის ხარჯი	(21,752)	(17,577)
სხვა ხარჯი	(88,727)	(71,917)
	(2,074,521)	(1,997,469)

* 2024 წლის მანძილზე, ადმინისტრაციული და კომერციული დეპარტამენტის თანამშრომელთა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 681,450 აშშ დოლარი და 652,300 აშშ დოლარი, შესაბამისად. (2023: 735,158 აშშ დოლარი და 619,234 აშშ დოლარი, შესაბამისად.)

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

19. მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა

	2024	2023
საგადასახადო ვალდებულებები	15,040	(8,398)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,339	24,030
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	273,710	(92,133)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(185,781)	(2,623)
სასესხო ვალდებულებიდან	15,014	(5,829)
სხვა ვალდებულებები	(1,048)	(2,747)
სხვა აქტივები	-	303
საიჯარო ვალდებულებები	16,858	(2,602)
	147,132	(89,999)

20. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო

კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას,

გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 560,249 აშშ დოლარი. საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 92¹ ნაწილის მიხედვით არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით არ იბეგრება, შესაბამისად სრულად განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით არ დაიბეგრება 305,854 დოლარი, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში მიღებული მოგების 3,734,993 აშშ დოლარის - განაწილება დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

ბალანსის მუხლი		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	დაკავშირებული მხარე	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან
სავაჭრო მოთხოვნები		190,426	184,411
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	188,130	174,490
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	-	9,921
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. KYRGYZSTAN	ერთობლივი მფლობელობა	2,296	-
სავაჭრო ვალდებულებები		4,092,717	4,986,367
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	3,671,705	3,247,406
BORUSAN IS MAKINALARI KIRALAMA SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	82,562	-
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	72	1,960
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	338,379	1,732,390
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. KIRGIZET	ერთობლივი მფლობელობა	-	4,611
მარაგების შესყიდვა		14,041,272	14,857,018
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	12,704,276	13,421,949
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	331,943	1,103,296
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	35,829	226,150
BORUSAN IS MAKINALARI KIRALAMA SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	494,279	105,623
FG WILSON ENERJI COZUMLERI SAN VE TIC.A.S.	ერთობლივი მფლობელობა	469,841	-
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. KYRGYZSTAN	ერთობლივი მფლობელობა	3,224	-
BORUSAN LOJISTIK	ერთობლივი მფლობელობა	1,880	-

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
		ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან
ამონაგები		1,020,495	962,756
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	348,506	756,008
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	377,605	206,748
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	145,235	-
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. KYRGYZSTAN	ერთობლივი მფლობელობა	5,520	-
BORUSAN IS MAKINALARI KIRALAMA SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	143,630	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 329,280 ლარი და 293,364 ლარი 2024 და 2023 წლისთვის, შესაბამისად.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წელს კომპანიამ გადაიხადა 1,346,659 აშშ დოლარის სესხის ძირი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი
სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს
წარმომადგენლობა“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

1.	საქმიანობის მიმოხილვა	1
2.	განვითარების გეგმა	2
3.	კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	2
4.	პროდუქტის განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	2
5.	ინფორმაცია ფილიალების შესახებ.....	2
6.	2024 და 2023 წლების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	3
7.	საკუთარი წილების შეძენა კომპანიის მიერ.....	4
8.	რისკები და მათი მართვა	4

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

1. საქმანობის მიმოხილვა

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ (შემდგომში ბორუსან კატ საქართველო), არის Borusan Makina ve Güç Sistemleri Sanayi ve Ticaret A.Ş. („BMGS“-ს ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში.

საქართველოში კომპანია ბორუსან კატი წარმოადგენს კატერპილარის ბიზნეს პარტნიორს 1997 წლიდან. როგორც კატერპილარის წარმომადგენლობა, ბორუსან კატი ოპერირებს საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

„ბორუსან კატ საქართველო“ მომხმარებლებს მრავალფეროვან პროდუქტსა და მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის, კატერპილარის ახალ და მეორად სამშენებლო და მიწის სათხრელ ტექნიკას, კომბინირებული გენერაციის და მექანიკური ენერგიის გამომუშავების დანადგარებს, გაქირავების მომსახურებასა და მომხმარებელთა მხარდაჭერას.

გარდა კატერპილარისა, კომპანია ასევე წარმოადგენს ისეთ ბრენდებს, როგორც არის SEM, Metso, FG WILSON და Trimble.

თავისი პროდუქტების ფართო სპექტრით „ბორუსან კატ საქართველო“ ინდუსტრიის მრავალ დარგს ემსახურება, მათ შორის: ზოგად და მძიმე რეჟიმში მშენებლობის, სამთო, სამრეწველო, საფეიქრო, ფოლადის წარმოების, ქიმიური, სამედიცინო, კერამიკის, ხის დამუშავების, საავტომობილო ტექნიკის, პლასტმასის წარმოების, საკვები პროდუქტების წარმოების და ენერგეტიკის სექტორებს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“ (თურქეთი), რომელიც 1994 წლიდან ოპერირებს, როგორც „Caterpillar“-ის ოფიციალური წარმომადგენელი. გარდა ამისა, აწარმოებს შემდეგი კომპანიების პროდუქციას: Metso, Mantsinen, Mecalac, Terex O&K, Exxon Mobil, MaK, Olympian, BESys, EMD და ClydeUnion და უკავია წამყვანი პოზიციები თურქეთის მსხვილ კომპანიებს შორის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

2. განვითარების გეგმა

კომპანიის განვითარების გეგმა არის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც მას ეხმარება ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებაში. ბორუსან კატის განვითარების გეგმა აგებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მუდმივი ღირებულების დამატების და ინოვაციური აზროვნების მხარდაჭერის პრინციპებზე გლობალურ ბაზრებზე ორიენტირებული პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროდუქტის განვითარებისა და ფასების სტრატეგიები შემუშავებულია ძირითად თავად კატერპილარის მიერ. ეს საშუალებას აძლევს ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობას შექმნას ოპტიმალური სტრატეგიები თავისი პროდუქციის ბაზარზე განვითარებისა და პოზიციონირებისთვის. ასევე აღსანიშნავია Borusan Makina Ve Guch Systemler Sanay Ve Tijareti JSC (თურქეთი) და კატერპილარის როლი ბორუსან კატ საქართველოს მხარდაჭერაში. ეს პარტნიორობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს გამოცდილების, ტექნოლოგიებისა და რესურსების გაცვლას, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას წარმატებით განვითარდეს და იყოს ბაზარზე კონკურენტუნარიანი.

ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობის განვითარების გეგმა ყალიბდება ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის, ინოვაციებისა და გლობალური ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის პრინციპების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის წარმატებულ განვითარებასა და მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობის განვითარების გეგმის წარმატებით განსახორციელებლად ასევე მნიშვნელოვანია ინდუსტრიის მიმდინარე ტენდენციების, მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინება. საბაზრო გარემოს მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი საშუალებას აძლევს კომპანიას მოერგოს ცვლილებებს და ეფექტურად უპასუხოს ახალ გამოწვევებს. პროდუქტის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ასპექტია ინოვაციური მიდგომა, მომხმარებელთა საჭიროებებისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. რეგულარული ურთიერთქმედება პროდუქტის განვითარების პარტნიორებთან, როგორც კატერპილარი და ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობა, საშუალებას აძლევს კომპანიას სწრაფად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს, ცვლილებებს და შესთავაზოს კონკურენტული გადაწყვეტილებები.

3. კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია არ ეწევა კვლევისა და განვითარების საქმიანობას.

4. პროდუქტის განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

თავად კატერპილარი, მსოფლიო ლიდერი სამშენებლო და სამთო აღჭურვილობის, ასევე დიზელის და გაზის ძრავების შემუშავებასა და წარმოებაში, აქტიურად არის ჩართული ინოვაციურ განვითარებაში და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებაში. თავის მხრივ, ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობა, კომპანია ბორუსანის ჯგუფის შვილობილი კომპანია, რომელიც სპეციალიზირებულია კატერპილარის პროდუქციის გაყიდვასა და სერვისში საქართველოში, არ იღებს მონაწილეობას მსგავს ღონისძიებებში და ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდებაზე თავისი მომხმარებლებისთვის. თავისი პროფესიონალიზმისა და უნიკალური მიდგომის წყალობით, ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობა წარმატებით აწვდის მომხმარებელს საიმედო და ეფექტურ გადაწყვეტილებებს სამშენებლო და სამთო მრეწველობის მიმართულებებით, ინარჩუნებს მომსახურების მაღალ სტანდარტს და ნდობის დონეს თავისი მომხმარებლების მხრიდან.

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0151, კახეთის გზატკეცილი 118, სადაც მდებარეობს კომპანიის სათავო ოფისი.

გარდა ამისა, 2016 წლიდან კომპანიას აქვს ფილიალი თბილისში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის საქმიანობაში მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მიწოდებისა და მხარდაჭერის გათვალისწინებით.

2023 წელს, სერვისის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით, გაიხსნა ფილიალი თერჯოლაში, რამაც საშუალება მისცა კომპანიას გაეფართოებინა თავისი წილი ბაზარზე და უფრო ეფექტური სერვისი მიეწოდებინა მომხმარებლებისთვის რეგიონში.

**„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ (გაგრძელება)

2024, 2023 და 2022 წლების გაყიდვების მონაცემები ფილიალების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023	2022
ბათუმის ოფისი			1%
თერჯოლის ოფისი	0,50%		
დიღმის ოფისი	7,00%	8%	8%
ცენტრალური ოფისი	92,50%	92%	91%

როგორც წარმოდგენილ მონაცემებში ჩანს, ფილიალების მიხედვით გაყიდვების რაოდენობები ძირითადად ზემოთ აღნიშნული პროცენტული რაოდენობებით ნაწილდება სტაბილურად და ეს მაჩვენებლები მცირედით იცვლება წლიდან წლამდე. 2023 დეკემბერში კომპანიამ განაგრძო ინვესტიციების ჩადება საქართველოს ბაზარზე და გახსნა ახალი ფილიალი თერჯოლის რაიონში, მოლოდინია, რომ ეს მდებარეობა დაეხმარება ჩვენს მომხმარებლებს დროის დაზოგვაში და უფრო ხელმისაწვდომს გახდის ჩვენს პროდუქციასა და მომსახურებას.

ამრიგად, ბორუსან კატ საქართველოს წარმომადგენლობა აგრძელებს აქტიურ განვითარებასა და საქმიანობის გაფართოებას და ცდილობს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა საჭიროებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

6. 2024 და 2023 წლების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გაყიდვების მონაცემები ერთეულებში

	2024	2023	სხვაობა	ცვლილების %
საგზაო-სამშენებლო ტექნიკა	99	110	(11)	(10%)
ენერგო სისტემები	13	22	(9)	(41%)
ჯამი	112	132	(20)	(15%)

ბორუსან კატ საქართველოს მიზანია სტაბილური ზრდა და პოზიციის გაძლიერება ბაზარზე. თუმცა, 2024 წელი გამოწვევებით სავსე იყო, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ბიზნესზე, ასევე სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაზე. 2024 წელი ბიზნესის სტაგნაციით გამოირჩეოდა, რაც ეკონომიკის დესტაბილიზაციაზე მიუთითებს და გრძელვადიანი სტრატეგიების გადახედვას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ჩვენმა კომპანიამ წარმატებით შეინარჩუნა ბაზრის წილი, რაც მიღწეული იქნა გაყიდვების სწორი სტრატეგიული პოლიტიკის და კლიენტებთან ეფექტური პარტნიორობის წყალობით.

2024 წლის ბოლოს აღსანიშნავია საგზაო სამშენებლო აღჭურვილობის გაყიდვების რაოდენობრივი მოცულობის 10%-იანი კლება. თუმცა, შემოსავალი 4%-ით გაიზარდა, რაც საქართველოში სპეციფიური ტექნიკის მოთხოვნის გაზრდის შედეგია. ენერგოსისტემების გაყიდვები რაოდენობრივად -41%-ით არის დაკლებული, თუმცა შემოსავალი ხოლო -1%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მაღალი სიმძლავრის ენერგოსისტემების მოთხოვნა წლიდან წლამდე სტაბილურად იზრდება. ძირითადი პროდუქტებიდან მთლიანი შემოსავალი 2%-ით გაიზარდა, რაც ჩვენი სტრატეგიებისა და მართვის გადაწყვეტილებების ეფექტურობას ადასტურებს არასტაბილურ გარე პირობებში.

ძირითადი კოეფიციენტები

	2023	2022
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (CR)	1,13	1.12
ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის მიმართ (D/E)	2.04	2,80
აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი (ROA)	8%	4%

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“ მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

6. 2024 და 2023 წლების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები
- ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის მიმართ = მიმდინარე ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი
- აქტივების ბრუნვაადობის კოეფიციენტი = წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბორუსან კატ საქართველოს მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი წლიდან წლამდე იზრდება. 2023 წელს ეს მაჩვენებელი 1,12 იყო, 2024 წლისთვის კი გაიზარდა 1,13-მდე. ეს არის ორგანიზაციის განვითარების წარმატებული და ეფექტური მენეჯმენტი, რაც ხაზს უსვამს მის ფინანსურ სიძლიერესა და მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების წარმატებით დაძლევის უნარს. ინდიკატორის ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ბორუსან კატ საქართველო გრძელვადიანი წარმატებისა და ბაზარზე ძლიერი პოზიციისკენ მიმავალ გზაზეა.

ვალდებულებების თანაფარდობა კაპიტალთან შემცირებულია 2,04-მდე, რაც მიუთითებს ვალდებულებების კაპიტალით დაფარვის მდგრადობაზე და დადებით გავლენას ახდენს მთლიან კომპანიაზე.

2024 წლის ფინანსურ ანგარიშებს ანალიზის დროს, შეინიშნება აქტივების ბრუნვის კოეფიციენტის მკვეთრი ზრდა 4%-ით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია უფრო ეფექტურად იყენებს თავის აქტივებს მოგების მისაღებად.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023	სხვაობა	სხვაობა %
გაყიდვები	20 523 584	19 826 773	696 811	3 %
საერთო მოგება	3 116 877	2 878 037	238 840	8 %
საოპერაციო მოგება	1 050 228	866 510	183 718	17 %
დაბეგვრამდე არსებული მოგება	944 685	541 204	403 481	43 %

ბორუსან კატ საქართველო აგრძელებს ზრდის ტემპს. 2024 წლის მიუხედავად იმისა რომ ამონაგები არის მცირედ გაზრდილი, საოპერაციო მოგება 17% -თაა მომატებული, რის მიზეზია სპეციფიური პროდუქტების რეალიზაცია ბაზარზე და ასევე სწორი ხარჯების მართვის პოლიტიკა. საერთო მოგების მაჩვენებელი ასევე გაიზარდა 43%-ით, რაც ხაზს უსვამს კომპანიის რესურსებისა და ოპერაციების ეფექტურ მართვაზე.

ბორუსან კატ საქართველო აქტიურად განიხილავს სტრატეგიებს, რომლებიც მიზნად ისახავს ოპერაციული ეფექტურობის გაზრდას და მომავალში ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

7. საკუთარი წილების შეძენა კომპანიის მიერ

კომპანიის მიერ წლის განმავლობაში არ განხორციელებულა საკუთარი წილების შესყიდვა.

8. რისკები და მათი მართვა

საბაზრო რისკები

არსებობს პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის გაყიდვებზე უარყოფითი გავლენის შესაძლო რისკთან მზარდი კონკურენციის გარემოში, ასევე ბაზარზე მოთხოვნის არახელსაყრელი პირობების ფორმირებასთან, ბაზრების შექმნის წარუმატებლობასთან ან პროდუქციის არასაკმარისი რაოდენობით მიწოდებასთან დაკავშირებით. მომხმარებელთა მოლოდინები, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით არის წარმოდგენილი ბაზარზე ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაში. მნიშვნელოვანი ინვესტიციების ფონზე კვლევასა და განვითარებაში და უცხოური წარმოების საქმიანობის გაფართოებაში, საბაზრო რისკს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა არარეზიდენტი კატერპილარის ოპერაციებზე.

8. რისკები და მათი მართვა (გაგრძელება)

როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელიც ეწევა სამშენებლო ტექნიკისა და ენერგო სისტემების რეალიზაციას საქართველოში, ბორუსან კატ საქართველოზე ასევე გავლენას ახდენს ინდუსტრიაში მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები, რაც უდავოდ შეიცავს საბაზრო რისკს.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ეფექტური კომუნიკაცია კატერპილართან, რომელიც მოიცავს რეგულარულ კომუნიკაციასა და სწრაფ უკუკავშირს;
- პროდუქციის შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებული პროექტების მუდმივი მონიტორინგი, ასევე არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობა მათი მოთხოვნილებების იდენტიფიცირებისა და დაკმაყოფილების მიზნით;
- ურთიერთგაგების, ურთიერთსარგებლიანობისა და გამჭვირვალობის საფუძველზე კლიენტებთან ურთიერთობის დამყარება;
- კლიენტებზე მორგებული და პროფესიონალური ფართო მომსახურების გაწევა, რაც ხელს უწყობს პარტნიორობის გაძლიერებასა და ლოიალობის გაზრდას.
- გადახდის შეღავათიანი ფორმების გამოყენება, როგორცაა გადახდის მოქნილი პირობები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რათა უზრუნველყოს კომფორტული პირობები მომხმარებლებისთვის და შემცირდეს ფინანსური რისკები ორივე მხარისთვის.

მარაგების გაუფასურების რისკი

სასაქონლო ნაშთის რისკი მოიცავს ჭარბი მარაგის დაგროვების შესაძლებლობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური ზარალი. ეს რისკი ასევე შეიძლება წარმოიშვას საქონლის დაძველების შედეგად გაფუჭების, ხარისხის დაკარგვის ან სხვა არახელსაყრელი ფაქტორების შედეგად, რომლებიც წარმოიქმნება შენახვის ან ტრანსპორტირების დროს, ან თუ მათი საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება მოთხოვნის შემცირების გამო.

ძირითადად, ბორუსან კატ საქართველოს მარაგები შედგება სათადარიგო ნაწილებისა და გზის სამშენებლო ტექნიკისგან. მიუხედავად იმისა, რომ ბორუსან კატ საქართველო ახორციელებს საქონლის იმპორტს მომხმარებლისგან წინასწარი შეკვეთის საფუძველზე და არ ინახავს მზა პროდუქციის მნიშვნელოვან მარაგს, კომპანიისთვის აქტუალური რჩება საწყობში ჭარბი მარაგის დაგროვების რისკი.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები:

- საწყობებში ჭარბი საქონლის გაჩენის ანალიზი, აღრიცხვის სისტემების დანერგვა და მარაგის მოცულობის ოპტიმიზაცია, რაც ხელს უწყობს ჭარბი რაოდენობის თავიდან აცილებას და მათი დაგროვების შედეგად ზარალის აღბათობის შემცირებას;
- ფოკუსირება ნაკლებად მოძრავ მარაგებზე და ყველა ალტერნატიული გზის მოძიება ამ მარაგების თავიდან ასაცილებლად.

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი შესაძლოა წინაპირობაა მოგების პოტენციური დაკარგვისა, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას გაცვლითი კურსების ცვლილებებით. გაცვლითი კურსების რყევის გამო შექმნილი გაურკვევლობით გამოწვეულ გაცვლითი კურსის რისკს ბორუსან კატ საქართველო ფარავს გაყიდვების ადგილობრივ ვალუტაში განხორციელების მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ბორუსან კატ საქართველო შესყიდვებისა და გაყიდვების უმეტესობას აშშ დოლარში ახორციელებს და გაყიდვის ფასი დამოკიდებულია დოლარის კურსის ცვლილებაზე, კომპანიის მიერ გაწეული გაცვლითი კურსის რისკი შეზღუდულია.

„ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“ მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

8. რისკები და მათი მართვა (გაგრძელება)

შერბილების ძირითადი სტრატეგიები

- ღია პოზიციის ყოველკვირეული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების გატარება.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკის დროს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს, რაც გამოწვეულია სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. აღნიშნული რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

როდესაც კომპანია აძლევს მომხმარებელს საქონელს ან უწევს მას მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, ჩნდება მომხმარებლების მიერ გადაუხდელობის რისკი. კომპანია თავის თავზე იღებს ამ რისკს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბორუსან კატ საქართველოს კლიენტები გრძელვადიანი და ფინანსურად საიმედო კომპანიები არიან. გარდა ამისა, კომპანია ამყარებს პარტნიორობას ფინანსურ ინსტიტუტებთან, სთავაზობს კლიენტებს ალტერნატიულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადაუხდელობის რისკს.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ყოველი მომხმარებლისათვის დაწესებულია საკრედიტო ლიმიტი;
- ვადაგადაცილებული დავალიანების კონტროლი, ანალიზი და დროული მოქმედება;
- ბანკებთან და სალიზინგო კომპანიებთან თანამშრომლობა კლიენტებისთვის ხელსაყრელი ფინანსური პირობების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს დამატებითი რესურსების მოზიდვასა და რისკის შემცირებას ყველა მხარისთვის.

საგარანტიო ღირებულების რისკი

საგარანტიო რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი ვერ აკმაყოფილებს მოსალოდნელ ან გაცხადებულ სტანდარტებს. თუ შესაძლო ტექნიკური პრობლემა გამომდინარეობს მომხმარებლისაგან, პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს; თუ პრობლემა წარმოიქმნება პროდუქციის იმპორტიდან მის მიწოდებამდე, პროდუქტის გამოყენების პროცესში რისკს საკუთარ თავზე იღებს შესაბამისი მომწოდებელი მხარე. მეორეს მხრივ, საგზაო-სამშენებლო ტექნიკის, ენერგო სისტემების ან სათადარიგო ნაწილების დიზაინიდან, წარმოებიდან და საბაზისო კომპონენტებიდან წამოჭრილ რისკებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს და მას მთლიანად მწარმოებელი ანაზღაურებს.

მთავარი შემამსუბუქებელი სტრატეგია

- კატერპილარის ყველა პროდუქტზე გაიცემა სტანდარტული 1 წლიანი გარანტია;
- საგარანტიო ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მმართველობის ანგარიშგება 2025 წლის 25 თებერვალს დამოწმებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ზაფერ აქსაქალი

ოლგა შარვაძე